MINISTRY OF LABOUR HEALTH AND SOCIAL AFFAIRS

NCDC NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივა აჭარის რეგიონში

მემორანდუმი

ქ. ბათუმი

24 მარტი, 2018 წ.

წინამდებარე სამმხრივი მემორანდუმით, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში „სამინისტრო“) წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, მაია ლაგვილავას სახით, **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში „აჭარის სამინისტრო”) წარმოდგენილი მინისტრის, ზაალ მიქელაძის სახით და **სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი** (შემდგომში ,,ცენტრი”) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ამირან გამყრელიძის სახით (შემდგომში „მხარეები“), მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგ პირობებზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის ძირითად მიზანს წარმოადგენს მხარეებს შორის სამმხრივი მჭიდრო თანამშრომლობის გაძლიერება ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივის განხორციელებისთვის, რაც მოიცავს ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის და C ჰეპატიტის ინტეგრირებულ სკრინინგს და ტუბერკულოზის მკურნალობის გამოსავლების გაუმჯობესებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

2.1. მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეების მიერ, ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ პროცესებში (ურთიერთვალდებულებები) სამინისტროს, აჭარის სამინისტროსა და ცენტრის თანამშრომელთა აქტიურ ჩართვას;

2.2. მხარეები უზრუნველყოფენ, ამ მემორანდუმის საფუძველზე, ერთობლივად დაგეგმილი სამუშაოების შესრულებას;

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 მხარეები განახორციელებენ თანამშრომლობას სამმხრივი ინტერესების სფეროში. მხარეები, ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად;
3.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. სამინისტროს ვალდებულება

4.1 სამინისტრო უზრუნველყოფს:
4.1.1. ადგილობრივ მთავრობას, სამედიცინო, სამეცნიერო, კერძო და არასამთავრობო სექტორს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბების მხარდაჭერას;
4.1.2. ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ღონისძიებების შემუშავების და განხორციელების მხარდაჭერას;
4.1.3. გამოცდილების გაზიარებას.

მუხლი 5: ცენტრის ვალდებულება

5.1. ცენტრი უზრუნველყოფს:
5.1.1. აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის დაფინანსების ფარგლებში, დონორთან შეთანხმებული ღონისძიებებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით, ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივის განხორციელებისთვის განსაზღვრულ ინვესტიციას ზემოაღნიშნული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად;
5.1.2. სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა შესაძლებელი გახდეს პირველადი ჯანდაცვის პოტენციალის სრულად გამოყენება ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის და C ჰეპატიტის დროული გამოვლენისა და ეფექტური მართვისთვის 5.1.1. პუნქტით გათვალისწინებული დონორული მხარდაჭერის ფარგლებში;
5.1.3. ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორობის განვითარების ხელშეწყობას, გამოცდილების გაზიარებას.

მუხლი 6. აჭარის სამინისტროს ვალდებულება

6.1. აჭარის სამინისტრო უზრუნველყოფს:
6.1.1 პროგრამის ადგილზე განხორციელების მხარდაჭერას, მათ შორის ურთიერთშეთანხმებული პროგრამის თანადაფინანსებას;

6.1.2. ტუბერკულოზის შემთხვევის ინტენსიური მართვის სისტემის ჩამოყალიბებას ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების ჩართვის გზით;
6.1.3. პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერების ხელშეწყობას ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის და C ჰეპატიტის დროული გამოვლენისა და ეფექტური მართვისთვის;
6.1.4. ადგილობრივ მთავრობას, სამედიცინო, სამეცნიერო, კერძო და არასამთავრობო სექტორს შორის პარტიორობის ჩამოყალიბების მხარდაჭერას;
6.1.5. გამოცდილების გაზიარებას.

მუხლი 7. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

7.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 წლის ვადით.
7.2. მხარეთა მიერ წერილობითი თანხმობის შედეგად შესაძლებელია მემორანდუმის ვადის გაგრძელება.
7.3 მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:
7.3.1. მემორანდუმის მოქმედების ვადის გასვლა;
7.3.2. მემორანდუმის პირობების უხეში დარღვევა რომელიმე მხარის მხრიდან;
7.3.3. მხარეების მიერ 1 (ერთი) თვით ადრე, წინასწარი წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე, მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტა;
7.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, ე.წ. ,,ფორს-მაჟორული" გარემოებების მოქმედებით, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით ან ქმედებებით და სხვა.
8.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ ერთმანეთი ,,ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომისა და მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
8.3. მხარეების მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტამდე.

მუხლი 9. სხვა დებულებები

9.1. მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით;

9.2. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, ურთიერთშეთანხმებისა და დახმარების კონკრეტული მიმართულებები, ფორმები და მოცულობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით;
9.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 10. კონფიდენციალურობის პირობები

10.1. მხარეები თანახმანი არიან ამ მემორანდუმის დადების და შესრულების პერიოდში ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი მთელი ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად და იღებენ ვალდებულებას არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, ამ მემორანდუმის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომაც, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მაია ლაგვილავა

მინისტრის მოადგილე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტრო

ზაალ მიქელაძე

მინისტრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

ამირან გამყრელიძე

გენერალური დირექტორი

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი